



ქობულეთის შემოვლითი გზის 4 ზოლიან მაგისტრალადმოდერნიზაციის პროექტი

მაგისტრალის მოდერნიზაციის პროცესში №1 საშენებლო
ბანაკის (20.51.01.335; 20.51.01.334; 20.51.01.114;
20.51.01.111) ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერულ
ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები
გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი

<p>“ვამტვიცებ” შეთანხმებულია</p> <p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p> <p>სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი</p> <p>----- “-----” ----- 2026 წ.</p>	<p>საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის მოადგილე</p> <p>გია სოფაძე</p> <p>----- “-----” ----- 2026 წ.</p> 
--	---

საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი



ქობულეთის შემოვლითი გზის 4 ზოლიან მაგისტრალად მოდერნიზაციის პროექტი

მაგისტრალის მოდერნიზაციის პროცესში №1 საშენებლო ბანაკის (20.51.01.335; 20.51.01.334; 20.51.01.114; 20.51.01.111) ფუნქციონირების პროცესში

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზღვ) ნორმების პროექტი

თბილისი, 2026 წელი

ანოტაცია

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმები დგინდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობის ყველა სტაციონარული წყაროსთვის (ობიექტისთვის).

ზდგ ნორმების მოცემულ პროექტში განხილულია ქ. ქობულეთში, ხულოს ქუჩის მიმდებარედ (ს/კ 211343982) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის №1 სამშენებლო ბანაკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები და ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ქობულეთის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში, ქობულეთის შემოვლითი გზის ოთხზოლიან მაგისტრალად მოდერნიზაციის პროექტის გათვალისწინებით (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 27 ნოემბრის №673/ს ბრძანებით “ქობულეთის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის “ქობულეთის გზის ოთხზოლიან მაგისტრალად მოდერნიზაციაზე” გაცემულია №63 სკოპინგის დასკვნა).

დოკუმენტი შემუშავებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“, „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონების და მათგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, საწარმოს განვითარების პერსპექტივის, ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობების, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრთა და გაბნევის ანგარიშის გათვალისწინებით, დაბინძურების თითოეული წყაროსა და თითოეული მავნე ნივთიერებებისთვის გაანგარიშებულია ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების მნიშვნელობები.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის გამოყენებით, ზდგ მნიშვნელობები განსაზღვრულია იმ პირობით, რომ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ფენაში არ აღემატებოდეს შესაბამისი მავნე ნივთიერებებისთვის დადგენილ კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებლებს.

ზდგ ნორმები დგინდება 5 წლის ვადით დაბინძურების სტაციონარული წყაროების მაქსიმალური შესაძლო სიმძლავრით დატვირთვის პირობებისთვის.

სარჩევი

1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ.....	7
2. საწარმოს განლაგების რაიონის კლიმატური დახასიათება.....	100
3. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა	111
3.1. №1 სამშენებლო ბანაკის დაგეგმილი ინფრასტრუქტურა	111
3.2. ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო	111
3.3 ბეტონის საწარმო	122
3.4 ასფალტის საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის აღწერა და წარმადობა.....	133
4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები	177
5. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში	18
5.1 ემისიის განგარიშება №1 სამშენებლო ბანაკების ბალასტის საწყობიდან - დასაწყობება/შენახვისას (გ-1).....	18
5.2 ემისიის განგარიშება ქვიშა ღორღის სამსხვრევი დანადგარიდან (გ-2)	211
5.3 ემისიის განგარიშება მზა პროდუქციის დროებითი სანაყაროდან (გ-3)	255
5.4 ემისიის განგარიშება მზა პროდუქციის საწყობიდან (გ-4).....	277
5.5 ემისიის განგარიშება ბეტონის ქარხნის ბუნკერიდან (გ-5)	300
5.6 ემისიის განგარიშება ბეტონის ქარხნის ლენტური ტრანსპორტიორიდან (გ-6).....	311
5.7 ემისიის განგარიშება ბეტონის ქარხნის ცემენტის სილოსებიდან (გ-7 და გ-8)	322
5.8 ემისიის ანგარიში ბეტონის დანამატების სილოსებიდან (გ-9 და გ-10):.....	333
5.9 ემისიის ანგარიში დიზელის უბნიდან (გ-11).....	333
5.10 ემისიის განგარიშება სამშენებლო ტექნიკის ავტოსადგომიდან (გ-12).....	344
5.11 ემისიის განგარიშება ასფალტის დანადგარიდან (გ-13).....	366
5.12 ემისიის ანგარიში ფილერის (მინერალური ფხვნილის) სილოსიდან (გ-14 და გ-15)	38
5.13 ემისიის ანგარიში ბიტუმის რეზერვუარიდან (გ-16)	38
5.14 ემისიის ანგარიში ბიტუმის გამაცხელებელი სისტემიდან (გ-17).....	38
5.15 ემისიის ანგარიში ასფალტის საწარმოს მიმღები ბუნკერიდან (გ-18).....	38
5.16 ემისიის განგარიშება ასფალტის ქარხნის ლენტური ტრანსპორტიორიდან (გ-19)	400
5.17 ემისიის განგარიშება ნავთობდამჭერიდან (გ-20)	41
6. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების პარამეტრები (№1 სამშენებლო ბანაკი).....	422
ცხრილი 6.1 №1 სამშენებლო ბანაკის მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება	422
ცხრილი 6.2. №1 სამშენებლო ბანაკის მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება	45
ცხრილი 6.3. №1 სამშენებლო ბანაკის აირმტვერდამჭერი მოწყობილობების დახასიათება.....	46

ცხრილი 6.4. №1 სამშენებლო ბანაკის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა, მათი გაწმენდა და უტილიზაცია, ტ/წ.....	47
7. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში.....	49
7.1. გაბნევის ანგარიშის გრაფიკული ნაწილი	500
8. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები.....	51
8.1 №1 სამშენებლო ბანაკის ზდგ-ს ნორმები ხუთწლიან პერიოდში თითოეული გაფრქვევის წყაროსათვის და თითოეული მავნე ნივთიერებისათვის	51
8.2 №1 სამშენებლო ბანაკის ზდგ-ს ნორმები ხუთწლიან პერიოდში მთლიანად საწარმოსთვის..	52
9. გამოყენებული ლიტერატურა	53
დანართი 1. ობიექტის გენ-გეგმა გაფრქვევის წყაროების დატანით	54
დანართი 2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მონაცემები	55

ძირითად ტერმინთა განმარტებები

- ა) „ატმოსფერული ჰაერი“ - ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობა-ნაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;
- ბ) „მავნე ნივთიერება“ - ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;
- გ) „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება“ - ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობის ცვლილება მასში მავნე ნივთიერებათა არსებობის შედეგად;
- დ) „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმა“ - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია დროის გარკვეული გასაშუალოებული პერიოდისათვის, რომელიც პერიოდული ზემოქმედებისას ან ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე არ ახდენს მასზე და საერთოდ გარემოზე მავნე ზემოქმედებას;
- ე) „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა საშუალო სადღეღამისო ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია“ - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია დღე-ღამის განმავლობაში აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების გასაშუალოებით;
- ვ) ე) „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია“ - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია 20-30 წუთიან დროის ინტერვალში ერთჯერადად აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების მიხედვით;
- ზ) ე) „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზრვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმა“ - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის დადგენილი რაოდენობა, გაანგარიშებული იმ პირობით, ორმ დაბინძურების ამ წყაროსა და სხვა წყაროების ერთობლიობიდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ფენაში არ აღემატებოდეს ამ წყაროს ზეგავლენის ტერიტორიისთვის დადგენილ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმას.

1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

№1 სამშენებლო ბანაკი

№1 სამშენებლო ბანაკი განთავსდება ქ. ქობულეთი, ხულოს ქუჩის მიმდებარედ, საპროექტო დერეფნის კმ 5,3-ზე, მარცხენა მხარეს GPS კოორდინატებით: X – 733126; Y – 4641419. ზ.დ. 2-5 მ. განსაზღვრულ ტერიტორიაზე.

ტერიტორია აერთიანებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ რამდენიმე არასოსოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, შემდეგი საკადასტრო კოდებით:

- 20.51.01.335 (ფართობი - 1,7 ჰა);
- 20.51.01.334 (ფართობი - 1,3 ჰა);
- 20.51.01.114 (ფართობი - 0,8 ჰა);
- 20.51.01.111 (ფართობი - 0,1 ჰა).

ტერიტორიის საერთო ფართობია 3.9-4.0 ჰა.

აღსანიშნავია, რომ მოპოვებული ინფორმაციით ტერიტორია წარსულში (ქობულეთის არსებული შემოვლითი გზის მშენებლობისას) გამოიყენებოდა ანალოგიური საქმიანობისთვის. შესაბამისად ანთროპოგენური დატვირთვის ხარისხი მაღალია, პრაქტიკულად არ არსებობს ან მინიმალურია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის და ხე-მცენარეული საფარისაგან გასუფთავების საჭიროება. რაც მთავარია ტერიტორიას შეცვლილი აქვს სტატუსი და წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ერთობლიობას.

ტერიტორიის დასავლეთით გადის არსებული შემოვლითი გზა და შესაბამისად წინამდებარე დოკუმენტში განსახილველი საპროექტო დერეფანი. სხვა მხრიდან ტერიტორიას ემიჯნება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. ტერიტორიამდე მიდის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არსებული საავტომობილო გზა (ქობულეთი, ხულოს ქუჩა). უახლოესი საცხოვრებელი სახლი (ქ. ქობულეთი) მდებარეობს ჩრდილოეთით, 120-150 მ მანძილის დაშორებით. ჩრდილოეთით, 160-170 მ მანძილის დაშორებით გაედინება მდ. ჩოლოქი. გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ პოტენციური საბანაკე ტერიტორია დამოუკიდებელი გრუნტის გზის საშუალებით უკავშირდება საპროექტო დერეფანს, მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიების გავლის გარეშე. ტერიტორია უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით და ელექტრომომარაგებით.

სამშენებლო ბანაკის №1 ტერიტორიის სიტუაციური ნახაზი მოცემულია ქვემოთ.

ნახაზი 1. №1 სამშენებლო ბანაკის სიტუაციური სქემა



ცხრილი 1.1. ზოგადი მონაცემები საწარმოს შესახებ

პროექტის განმახორციელებელი	საავტომობილო გზების დეპარტამენტი
მშენებლობის განმახორციელებელი	ამ ეტაპზე უცნობია (გამოვლინდება ტენდერის გზით)
ობიექტის მისამართი	ქ. ქობულეთი, ხულოს ქუჩის მიმდებარედ;
ფაქტობრივი	№1 სამშენებლო ბანაკი (ს/კ 20.51.01.335, 20.51.01.334, 20.51.01.114, 20.51.01.111)
იურიდიული	საქართველო 0160, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის №12
საიდენტიფიკაციო კოდი	211343982
GPS კოორდინატები	1. X-733126, y-4641419;
პასუხისმგებელი პირი	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის მოადგილე: გია სოფაძე
გვარი, სახელი	გია სოფაძე
ტელეფონი	599 939 2029
ელ-ფოსტა	Gia.sopadze@georoad.ge
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	სამშენებლო ბანაკი №1 - 120 მ.
ეკონომიკური საქმიანობის სახე	სამშენებლო მასალების წარმოება
გამოშვებული პროდუქციის სახეობა	№1 სამშენებლო ბანაკი ✓ ქვიშა-ღორღი; ✓ ბეტონი; ✓ ასფალტი.
საპროექტო წარმადობა	№1 სამშენებლო ბანაკი ქვიშა-ღორღი - 358 400 ტ/წ. (224 000მ ³ /წ.); ბეტონი - 345 600 ტ/წ. (14 400 მ ³ /წ.); ასფალტი - 192 000 ტ/წ. (76 800 მ ³ /წ.).
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	№1 სამშენებლო ბანაკი ქვიშა-ღორღი ■ ბალასტი - 358 400 ტ/წ. (224000მ ³ /წ.); ბეტონი ■ ცემენტი - 43 200 ტ/წ; ■ ქვიშა - 95040 ტ/წ; ■ ღორღი - 155 520 ტ/წ; ■ წყალი - 51840 ტ/წ. ასფალტი ■ ქვიშა - 38 400 ტ/წელ; ■ ღორღი 129 600 ტ/წელ; ■ ბიტუმი 10 560 ტ/წელ; ■ მინერალური ფხვნილი/ფილერი 13440 ტ/წელ;
საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოყენებულის გარდა)	№1 სამშენებლო ბანაკი ბუნებრივი აირი - 2 015 000 მ ³
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	№1 სამშენებლო ბანაკი ✓ სამსხვერვე-დამხარისხებელი დანადგარი - 175; ✓ ბეტონის კვანძი - 150; ✓ ასფალტი - 120.
სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	№1 სამშენებლო ბანაკი 8

2. საწარმოს განლაგების რაიონის კლიმატური დახასიათება

სამშენებლო კლიმატური დარაიონების მიხედვით ქ. ქობულეთი მიეკუთვნება IIIბ ქვერაიონს.

ცხრილი 2.1 ჰაერის საშუალო ტემპერატურა

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	წლ
4.8	5.5	7.6	10.9	15.4	19.5	22.4	23.6	20.5	16.4	11.5	7.5	14.5

ცხრილი 2.2. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა (%)

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	წლ
80	80	79	80	82	80	80	82	84	84	82	80	81

ცხრილი 2.3. ნალექების რაოდენობა წელიწადში (მმ) ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი (მმ)

პუნქტის დასახელება	ნალექების რ-ბა წელიწადში (მმ)	ნალექები დღე-ღამური მაქსიმუმი (მმ)
ქობულეთი	2352	240

ცხრილი 2.4 ქარის მიმართულების განმეორებადობა (%) იანვარი, ივლისი

ჩრდ.	ჩრდ.აღმ.	აღმ.	სამხ.აღმ.	სამხ.	სამხ.დას.	დას.	ჩრდ.დას
2/3	35/8	15/11	8/10	7/9	23/40	5/17	4/2

ცხრილი 2.5 ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სჩქარე (მ/წმ)

იანვარი	ივლისი
4.4/1.5	5.1/1.7

ცხრილი 2.6 პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრავს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნების პირობებს

მეტეოროლოგიური მახასიათებლების და კოეფიციენტების დასახელება	მნიშვნელობები
ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატეფიკაციის კოეფიციენტი	200
ადგილის რელიეფის გავლენის ამსახველი კოეფიციენტი	1
წლის ყველაზე ცხელი თვის ჰაერის საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა, °C	26.6
წლის ყველაზე ცივი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა, °C	4.8
ქართა საშუალო წლიური თაიგული, %	შტილი-20
-ჩრდილოეთი	2
-ჩრდილო-აღმოსავლეთი	23
-აღმოსავლეთი	13
-სამხრეთ-აღმოსავლეთი	8
-სამხრეთი	7
-სამხრეთ-დასავლეთი	30
-დასავლეთი	11
-ჩრდილო-დასავლეთი	6
-შტილი	20
ქარის სიჩქარე (მრავალწლიური მონაცემების მიხედვით), რომლის გადამეტების განმეორებადობა შეადგენს 5%-ს, მ/წმ	18

3. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

3.1. №1 სამშენებლო ბანაკის დაგეგმილი ინფრასტრუქტურა

სამშენებლო ბანაკი №1-ის ტერიტორიაზე დაგეგმილია მოეწყოს შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები:

- საოფისე ადმინისტრაციული შენობა;
- სატრანსპორტო საშუალებების სადგომი;
- დიზელის რეზერვუარი 2 ერთეული;
- მუშა პერსონალის მოსასვენებელი და სასადილო დროებითი ნაგებობა;
- ბეტონის მობილური საწარმო;
- ასფალტის მობილური საწარმო;
- ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი მობილური საწარმო;
- სასმელ-სამეურნეო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა;
- სასმელ-სამეურნეო ჩამდინარე წყლების შემკრები რეზერვუარი;
- საწყობი;
- მძიმე ტექნიკის შესაკეთებელი;
- ლაბორატორია;
- ტექნიკური წყლის რეზერვუარი;
- ტექნიკური წყლის მიწისქვეშა ჭაბურღილები.

აღსანიშნავია, რომ სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე ყველა დროებითი ნაგებობა მოწყობილი იქნება მსუბუქი კონსტრუქციის შენობით, ხოლო საწარმოები, მათ შორის ბეტონის და ასფალტის საწარმოც ძირითადად წარმოადგენენ მობილურ მოწყობილობებს, რომელთა დემონტაჟიც მარტივად განხორციელდება პროექტის დასრულების შემდეგ. ამასთან, სამშენებლო ბანაკის, მათ შორის ბანაკის ტერიტორიაზე წარმოდგენილი ყველა სახის დროებითი ნაგებობების და მობილური საწარმოების, მათ შორის ბეტონის და ასფალტის საწარმოს დემონტაჟი განხორციელდება მას შემდეგ, რაც დასრულდება საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტი.

№1 სამშენებლო ბანაკის ტერიტორია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა, მცენარეული საფარით და ნიადაგის ნაყოფიერი ფენით წარმოდგენილი არ არის, დეგრადირებული და სახეცვლილია.

3.2. ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო

№1 სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოეწყობა სამსხვრევ-დამხარისხებელი მობილური საწარმო. აღნიშნული საწარმო იმუშავებს წელიწადში **175** სამუშაო დღე და დღე-ღამეში **8 საათიანი** სამუშაო გრაფიკით. საწარმოს დაგეგმილი წარმადობა შეადგენს **160 მ³/სთ-ს (256 ტ)**. შესაბამისად, წლის განმავლობაში მიღებული იქნება **358.400 ტონა (224.000 მ³)** ინერტული მასალის სხვადასხვა ფრაქცია.

№1 სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე დასამონტაჟებელი სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს შემადგენლობაში იქნება შემდეგი ელემენტები:

- ✧ პანდუსი;
- ✧ ქვიშა-ლორღის მიმღები ბუნკერი;
- ✧ სამსხვრევი და საცერი დანადგარები;
- ✧ ქვიშის სარეცხი;
- ✧ ლენტური ტრანსპორტიორი;
- ✧ საოპერატორო;
- ✧ სალექარი სისტემების ჩამდინარე წყლებისთვის;
- ✧ ჩამტვირთველი ბუნკერი;
- ✧ ნედლეულის და მზა პროდუქციის ღია საწყობი.

შემოტანილი ნედლეული პანდუსის გავლით მიეწოდება საამქროს მიმღებ ბუნკერს. ბუნკერში მიწოდების დროს გათვალისწინებულია ნედლეულის დანამვა. ბუნკერიდან ქვიშა-ხრეში მიეწოდება სამსხვრევს. სამსხვრევიდან იყრება ლენტურ ტრანსპორტირზე. შედარებით მსხვილ ფრაქციული მასალა ბრუნდება სამსხვრევისკენ, ხოლო შედარებით წვრილ ფრაქციული მასალა მიეწოდება საცერს. საცერის საშუალებით მსხვილფრაქციული მასალა მიეწოდება სამსხვრევის, ხოლო წვრილფრაქციული მასალა (ქვიშა) ირეცხება და საწყობდება ღია მოედანზე.


საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი ავტომატიზირებული იქნება და მისი მართვა მოხდება სპეციალური სამეთვალყურეო კაბინიდან, ოპერატორების მეშვეობით.

პროდუქტის გარეცხვის შემდეგ წარმოქმნილი საწარმოო წყალი, რომელიც შეიცავს მხოლოდ შეწონილ ნაწილაკებს, გაწმენდის მიზნით გადავა სალექარში.

გარემოსდაცვითი თვალსაზრისით რეკომენდირებულია, რომ სამსხვრევი საამქროებისთვის გამოყენებული იქნეს ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა, რაც გულისხმობს გამოყენებული წყლის უკან დაბრუნებას, სალექარებში გავლის შემდგომ. თუმცა წინამდებარე გზშ-ს ანგარიშში გათვალისწინებულია უარესი სცენარი, რაც გულისხმობს ჩამდინარე წყლების ჩაშვებას ზედაპირული წყლის ობიექტში. საკითხი დეტალურად აღწერილია წყალმომარაგება-წყალარინების პარაგრაფში, ასევე გზშ-ს თანდართულ ზღვ-ს ნორმების პროექტში.

რაც შეეხება სალექარში დაგროვილ ლამს, დროებით დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე და გამრობის შემდგომ მისი გამოყენება მოხდება საავტომობილო გზის მშენებლობის პროცესში.

სურ. 3.1. ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის სქემა



3.3 ბეტონის საწარმო

მსგავსი ტიპის და წარმადობის ბეტონის საამქროები მოეწყობა სამშენებლო ბანაკის №1 სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე.


სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოეწყობა Ranger 90 მოდელის მობილური ქარხანა, რომლის წარმადობა შეადგენს **120 მ³/სთ.** ბეტონის საწარმო წელიწადში იმუშავებს **150** დღე, დღე-ღამეში 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით. შესაბამისად, წლის განმავლობაში გამოუშვებს **144 000 მ³ (345 600 ტ)** ბეტონს, რომლის წარმოებისთვის საწარმო გამოიყენებს **28 800 მ³ (43 200 ტონა)** ცემენტს, **59400 მ³ (95040 ტ)** ქვიშას, **91484 მ³ (155 520 ტ)** ღორღს, **51840 ტ წყალს.**

ბეტონის კვანძის კომპლექსში შედგება:

- ინერტული მასალების მიწოდების სისტემა (მიმღები ბუნკერი, ლენტური ტრანსპორტიორი);
- სილოსის პნევმოსისტემა (უზრუნველყოფს სილოსის ფილტრში დაგროვილი ცემენტის სილოსში დაბრუნებას. სილოსს ექნება მტვედამჭერი ფილტრი);
- ბეტონშემრევი;
- ავტომატური მართვის სიტემა და ოპერატორის კაბინა.

ბეტონის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი ასეთია: ნედლეული (ქვიშა/ხრეში) იყრება, ბეტონის კვანძის ნედლეულის მიმღებ ბუნკერში, საიდანაც ლენტური ტრანსპორტიორის მეშვეობით მიეწოდება შემრევს. შემრევში ემატება ცემენტი (ცემენტი, ცემენტის სილოსიდან შემრევს მიეწოდება დახურული შნეკური ტრანსპორტიორით, მიწოდების სისტემა დახურულია და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევას ადგილი არ აქვს) და წყალი. შემრევიდან მზა პროდუქტი, ბეტონი ჩამტვირთავი სახელოების გამოყენებით იტვირთება ბეტონმზიდებში.

სურ. 3.2 ბეტონის საწარმოს ტექნოლოგიური სქემა



3.4 ასფალტის საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის აღწერა და წარმადობა

როგორც უკვე აღინიშნა კომპანია გეგმავს №1 სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე ასფალტის საწარმოს დამონტაჟებას, რომელიც ხელს შეუწყობს საავტომობილო გზის პროექტის სამშენებლო სამუშაოების ეფექტიანად განხორციელებას და ამასთან თავიდან იქნება აცილებული ასფალტის შემოტანით გამოწვეული ზემოქმედებები გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე.

დაგეგმილი ასფალტის საწარმოს მიერ წელიწადში გათვალისწინებულია **76 800 მ³/წელ (192 000 ტ/წელ)** მზა ასფალტის ნარევის მომზადება.

№1 სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე ასფალტის საწარმოს განთავსდება შემდეგ GPS: X- 733126; Y- 4641419 კოორდინატებზე. საწარმოს ტექნოლოგიური სქემა მოცემულია სურათზე 3.4.1, ხოლო სამშენებლო ბანაკი მასზე დაგეგმილი ინფრასტრუქტურის ჩვენებით მოცემულია სამშენებლო ბანაკის გენ. გეგმაზე (სურ. 3.4.2)

ასფალტის საამქრო მოეწყობა №1 სამშენებლო ბანაკზე და დაგეგმილი ასფალტის კვანძის მიახლოებითი წარმადობა იქნება 80 მ³/სთ-ს. წელიწადში ასფალტის დანადგარი სავარაუდოდ იფუნქციონირებს 960 სთ და დღეში 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით.

ასფალტის მწარმოებელი ქარხნის შემადგენლობაში შედის შემდეგი დანადგარ-მექანიზმები:

1. ინერტული მასალების მიმღები ბუნკერები;
2. საშრობი დოლი;
3. მტვერის ინერციული (ციკლონური) შემგროვებელი;
4. ცხერი აგრეგატის ელევატორი;
5. ვიბრაციული ცხაური;
6. ფილერის (შემავსებლის) მიწოდების სისტემა;
7. ცხელი აგრეგატის შენახვის სისტემა;
8. აწონვის და შერევის სისტემა;
9. ბიტუმის მიწოდების სისტემა;
10. მართვის პუნქტი.

ასფალტის ნარევის დამზადება ითვალისწინებს შემდეგ ოპერაციებს:

- ინერტული მასალების მიწოდებას ასფალტის ქარხნის მიმღებ ბუნკერში;
- ასფალტის ნარევის დამზადებას, რაც ითვალისწინებს საშრობ დოლში ინერტული მასალების გამოშრობას. გამომშრალი მასალები მიეწოდება შერევის სისტემას. აქვე მიეწოდება ბიტუმი და შემავსებლები. შერევის სისტემის დოზატორები ავტომატურად უზრუნველყოფენ ნარევი მასალების განსაზღვრული ოდენობის მიწოდებას. შემრევი შეყვანილი კომპონენტები შეირევა და დამზადებული პროდუქცია გადაიტვირთება მზა პროდუქციის ბუნკერში, საიდანაც გადაიტვირთება ავტოთვიტმცლელელებში.
- პროდუქციის დატვირთვას ტრანსპორტზე და მის გატანას ტერიტორიიდან.

ასფალტის საწარმოს მაქსიმალური წარმადობა შეადგენს **200 ტ/საათში**. შესაბამისად, ვინაიდან საწარმო წელიწადში იმუშავებს 120 დღე, დღეში 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით, მოხდება დღეში **1600 ტონა**, ხოლო წელიწადში **192 000 ტონა** ასფალტის მიღება.

საწარმო აღჭურვილი იქნება შემდეგი ტექნოლოგიური მოწყობილობებით: ცივი კვების სისტემა - რომელიც მოიცავს მზა ნედლეულის მიმღებ ბუნკერებს და ლენტურ ტრანსპორტიორს;

№1 სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოსაწყობი სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის მიერ წარმოებული ინერტული მასალის ნაწილი ავტოთვიტმცლელელების დახმარებით მიეწოდება შესაბამის სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოსაწყობ ასფალტის საწარმოს მიმღებ ბუნკერებს (4 ცალი მიმღები ბუნკერი, თითოეული 240 ტ მოცულობის მქონე), რომელიც განკუთვნილია ცივი მასალის მისაღებად. აღნიშნული აგრეგატებიდან მასალები ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით გადავა ინერტული მასალების საშრობ დოლში.

საშრობი და გამაგრილებელი სისტემა - რომელიც მოიცავს საშრობ დოლს და უზრუნველყოფილია გაგრილების სისტემით.

საშრობი დოლი წარმოადგენს უმთვრეს დეტალს ასფალტის საწარმოს ფუნქციონირებაში. ის უზრუნველყოფს ქვიშის და ღორღის გაშრობას და პასუხისმგებელია აღნიშნული მასალების გაცხელებაზე. საშრობი სისტემა უზრუნველყოფილი იქნება ტემპერატურის კონტროლის სენსორული სისტემა. ასევე უზრუნველყოფილი იქნება საცეცხლური სისტემით, რომელიც

თავის მხრივ აღჭურვილია ინვენტორებით, რომელთა მართვაც განხორციელდება საოპერატორო ჯიხურიდან, რათა მოხდეს საწვავისა და ჟანგბადის ზუსტი რაოდენობის რეგულირება.

საშრობ დოლში გაცხელებული მასალა საცერის გავლის შემდეგ, ელევატორების საშუალებით მიეწოდება შემრევს, სადაც მოხდება ბიტუმთან და ფილერთან ერთად არევა და მზა ასფალტის მიღება. შემრევი აგრეგატის დოზატორები უზრუნველყოფენ ნარევში ფილერის განსაზღვრული ოდენობით მიწოდებას.


საშრობ დოლს გააჩნია მტვრის შეგროვების სისტემა, რომელიც აღჭურვილია ციკლონის ფილტრით 60%-იანი ეფექტურობით, აირმტვერნარევის დაჭერის სისტემით და სახელოიანი ტიპის ფილტრით, მტვერდამჭერის 99,9%-იანი უზრუნველყოფით.

სახელოიანი ფილტრი არის მტვრისდაჭერის საშუალება, რომელსაც გააჩნია ფილტრაციის ზედაპირი, ფილტრის ტომარა, შეკუმშული ჰაერის ავზი, დიაფრაგმის სარქველები და ევაკუაციის სისტემა. სახელოებიანი ფილტრი შემუშავებული და გათვლილია დამაბინძურებლების ტიპზე, მტვრის ნაწილაკების ზომასა და საჭირო სიმძლავრეზე. საშრობი დოლის ფილტრის სახელურში დაგროვილი მტვერი დაბრუნებული იქნება ასფალტის წარმოების ტექნოლოგიური ციკლში, როგორც ერთ-ერთი შემავსებელი.

საწარმოში ბიტუმი შემოტანილი იქნება სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით აზრებაიჯანიდან. შემოტანილი ბიტუმი განთავსდება 10 სხვადასხვა ავზში. თითოეული ავზის მოცულობა შეადგენს 40 ტონას. შესაბამისად, ჯამურად ბიტუმის ავზების მოცულობა იქნება 400 ტონა.

იმისათვის რომ მოხდეს ბიტუმის გადატანა შემრევ მიქსერში, საბოლოო ასფალტის ნარევის მისაღებად, ბიტუმსაცავი აღჭურვილია ბიტუმის გაცხელების სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს მის გაცხელებას 150° ტემპერატურამდე. გაცხელებული ბიტუმი სპეციალური ცირკულარული ტუმბოს მეშვეობით გადავა შემრევ მიქსერში, სადაც მოხდება მზა პროდუქციის შერევა და ასფალტის იღება. საწარმოში სრული ტექნოლოგიური პროცესის მართვა განხორციელდება სპეციალური ავტომატური კაბინიდან.

3.3. ასფალტის საწარმოს ტექნოლოგიური სქემა



სურ. 3.4. - №1 სამშენებლო ბანაკის გენ-გეგმა ინფრასტრუქტურული ობიექტების ჩვენებით



როგორც უკვე აღინიშნა სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მობილური ასფალტის საწარმოს მუშობის რეჟიმი იქნება 8 საათიანი, წელიწადში 120 სამუშაო დღით. შესაბამისდ, საწარმოში ნედლეულის შემოტანა და გატანა განხორციელდება ობიექტის მუშაობის პარალელურად.

ასფალტის ნარევის დასამზადებლად საჭირო იქნება ბიტუმი, შემავსებელ მასალად ფილერი და ქვის მტვერი, ქვიშა და ღორღი. საწარმოს მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 200 ტ/საათში. ამრიგად, საწარმო დღე-ღამეში გამოიმუშავებს 1600 ტონა, ხოლო წელიწადში 192 000 ტონა ასფალტს.

ნედლეულის ხარჯი 192 000 ტონა ასფალტის წარმოებისას იქნება შემდეგი:

- ქვიშა - 38 400 ტ/წელ;
- ღორღი 129 600 ტ/წელ;
- ბიტუმი 10 560 ტ/წელ;
- მინერალური ფხვნილი/ფილერი 13 440 ტ/წელ;

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოს მომარაგება ინერტული მასალებით განხორციელდება სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე დაგეგმილი სამსხვრევი დანადგარის მიერ წარმოებული პროდუქციით. ბიტუმის შემოტანა განხორციელდება ახერბაიჯანიდან, ხოლო დანამატების შემოტანა სხვადასხვა მომწოდებლებისაგან.

საწარმოო დანადგარი იმუშავებს ელექტროენერგიაზე, ხოლო ბიტუმის გათბობა მოხდება ბუნებრივი აირის გამოყენებით. გამოყენებული იქნება მუნიციპალიტეტში არსებული კომუნალური ქსელები.

4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები

ორივე ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია ქვემოთ მოყვანილი მავნე ნივთიერებების ემისია, რომელთა მაქსიმალური ერთჯერადი და საშუალო დღეღამური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები [4] მოცემულია ცხრილი 4.1

ცხრილი 4.1 მავნე ნივთიერებათა ძირითადი მახასიათებლები

მავნე ნივთიერებათა		ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია მგ/მ ³		საშიშროების კლასი
კოდი	დასახელება	საშუალო სადღეღამისო	საშუალო სადღეღამისო	
301	აზოტის დიოქსიდი	0.2	0.04	3
304	აზოტის (II) ოქსიდი	0.4	0.06	3
328	ჭვარტლი	0.15	0.05	3
330	გოგირდის დიოქსიდი	0.5	0.05	3
333	გოგირდწყალბადი	0.008	-	2
337	ნახშირბადის ოქსიდი	5	3	4
2732	ნავთის ფრაქცია	1.2(სუზდ)	-	-
2754	ნაჯერი ნახშირწყალბადები, C12-C19	1	-	4
2902	შეწონილი ნაწილაკები	0.5	0.15	3
2909	არაორგანული მტვერი SiO ₂ <20%	0.3	0.1	3

საწარმოს ფუნქციონირების მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგენილი ატმოსფერული ჰაერის უმთავრესი დამაბინძურებელი წყაროებია:

№1 სამშენებლო ბანაკი:

- ✧ ბალასტის საწყობი - გაფრქვევის წყარო გ-1;
- ✧ ინერტული მასალის სამსხვრევი დანადგარი - გაფრქვევის წყარო გ-2;

- ✧ პროდუქციის (ქვიშა-ლორღის) დროებითი სანაყარო - გაფრქვევის წყარო გ-3;
- ✧ პროდუქციის (ქვიშა-ლორღის) საწყობი - გაფრქვევის წყარო გ-4;
- ✧ ბეტონის ქარხნის მიმღები ბუნკერი - გაფრქვევის წყარო გ-5;
- ✧ ბეტონის ქარხნის ლენტური ტრანსპორტიორი - გაფრქვევის წყარო გ-6;
- ✧ ცემენტის სილოსები - გაფრქვევის წყაროები გ-7 და გ-8;
- ✧ ბეტონის დანამატების სილოსები - გაფრქვევის წყარო გ-9 და გ-10;
- ✧ დიზელის უბანი - გაფრქვევის წყარო გ-11;
- ✧ სამშენებლო ტექნიკის სადგომი - გაფრქვევის წყარო გ-12;
- ✧ ასფალტის დანადგარი - გაფრქვევის წყარო გ-13;
- ✧ მინერალური დანამატის (ფილერის) სილოსები - გაფრქვევის წყაროები გ-14 და გ-15;
- ✧ ბიტუმის რეზერვუარი - გაფრქვევის წყარო გ-16;
- ✧ ბიტუმის გამაცხელებელი სისტემა - გაფრქვევის წყარო გ-17;
- ✧ ასფალტის საწარმოს მიმღები ბუნკერი - გაფრქვევის წყარო გ-18;
- ✧ ასფალტის საწარმოს ტრანსპორტიორი - გაფრქვევის წყარო გ-19;
- ✧ ნავთობდამჭერი - გაფრქვევის წყარო გ-20.

5. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში

№1 სამშენებლო ბანაკების ანგარიში შესრულებულია საწარმოს და დანადგარების მაქსიმალური დატვირთვის პირობებისთვის [6], [7], [8]-ის საფუძველზე.

5.1 ემისიის განგარიშება №1 სამშენებლო ბანაკის ბალასტის საწყობიდან - დასაწყობება/შენახვისას (გ-1)

ფხვიერი მასალების გადატვირთვა ხორციელდება ჩამტვირთავი სახელოს გარეშე. ადგილობრივი პირობები-საწყობი ღია ოთხივე მხრიდან ($K_4=1$). მასალის გადმოყრის სიმაღლე - 1.0 მ. ($B=0.5$). ზალპური ჩამოცლა ავტოთვითმცლელიდან ხორციელდება 10 ტ. და მეტი ოდენობით ($K_9=0.1$). ქარის საანგარიშო სიჩქარეები მ/წმ: 7.3 ($K_3=1.7$). დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 5.1.1.

ცხრილი 5.1.1 - დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2902	შეწონილი ნაწილაკები	0.0434	0.8026

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის განგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 5.1.2

ცხრილი 5.1.2.

მასალა	პარამეტრი
ბალასტი	გადატვირთული მასალის რ-ბა: $G_{სთ}=46$ ტ/სთ; $G_{წლ}=401280$ ტ/წელ. მტვრის ფრაქციის მაქსიმალური მასური წილი მასალაში: $K_1=0.04$. მტვრის წილი, რომელიც გადადის აეროზოლში: $K_2=0.02$. ტენიანობა 10%-მდე (K_5)

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ:

ემისიის ანგარიში ნედლეულის დასაწყობებისას

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის ანგარიში ხორციელდება ფორმულით [8]:

$$M_{დსწ} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot K_9 \cdot B \cdot G_{სთ} \cdot 10^6 / 3600, \text{ გ/წმ}$$

- სადაც K_1 - მტვრის ფრაქციის (0-200 მკმ) წონითი წილია მასალაში;
 K_2 - მტვრის წილია (მტვრის მთლიანი წონითი წილიდან), რომელიც გადადის აეროზოლში (0-10 მკმ);
 K_3 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს;
 K_4 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, კვანძის დაცულობის ხარისხს გარეშე ზემოქმედებისაგან, ამტვერების პირობებს;
 K_5 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;
 K_7 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ზომებს;
 K_8 - შემასწორებელი კოეფიციენტი სხვადასხვა მასალისათვის გრეიფერის ტიპის გათვალისწინებით, სხვა ტიპის გადამტვირთავი მოწყობილობების გამოყენებისას, $K_8=1$;
 K_9 - შემასწორებელი კოეფიციენტი ზალპური ჩამოცლისას ავტოთვითმცლელიდან;
 B - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გადმოყრის სიმაღლეს;
 $G_{სთ}$ - გადასატვრთი მასალის რაოდენობა, ტ/სთ.

მტვრის ჯამური წლიური ემისიის ანგარიში ხორციელდება ფორმულით:

$$G_{დსწ} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot K_9 \cdot B \cdot G_{წ}, \text{ ტ/წ}$$

სადაც $G_{წ}$ - გადასატვრთი მასალის წლიური რაოდენობაა, ტ/წ.

№1 სამშენებლო ბანაკისთვის ნედლეულის დასაწყობებისას ემისიის მნიშვნელობა იქნება:

$$M_{2902}^{7.3\text{მ}^3/\text{წმ}} = 0.04 \times 0.02 \times 1.7 \times 1 \times 0.1 \times 0.5 \times 1 \times 0.1 \times 0.5 \times 46 \times 10^6 / 3600 = 0.0434444 \text{ გ/წმ};$$

$$G_{2902} = 0.04 \times 0.02 \times 1 \times 1 \times 0.1 \times 0.5 \times 1 \times 0.1 \times 0.5 \times 401280 = 0.80256 \text{ ტ/წელ.}$$

ემისიის ანგარიში ნედლეულის შენახვისას

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [6, 7, 8].
 დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 5.1.3.

ცხრილი 5.1.3 დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

დამაბინძურებელ ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლური ემისია, ტ/წელ
კოდ	დასახელება		
2902	შეწონილ ნაწილკები	0.0245	0.0001

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის ანგარიში ფხვიერი მასალის შენახვისას ხორციელდება შემდეგი ფორმულით [8]:

$$M_{შსს} = K_4 \cdot K_5 \cdot K_6 \cdot K_7 \cdot q \cdot F_{შსს} + K_4 \cdot K_5 \cdot K_6 \cdot K_7 \cdot 0.11 \cdot q \cdot (F_{ქსს} - F_{შსს}) \cdot (1-\eta), \text{ გ/წმ};$$

- სადაც, K_4 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, კვანძის დაცულობის ხარისხს გარეშე ზემოქმედებისაგან, ამტვერების პირობებს;
 K_5 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;
 K_6 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილს;
 K_7 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ზომებს;

$F_{შვ}$ - ფართი გეგმაზე, რომელზედაც სისტემატიურად მიმდინარეობს დასაწყობების სამუშაოები, მ²;

$F_{ჯვ}$ - ამტვერების ზედაპირის ფართი გეგმაზე, მ²;

q - მტვრის კუთრი ამტვერების მაქსიმალური სიდიდე, გ/(მ²*წმ);

η - გაფრქვევის შემცირების ხარისხი მტვერდამჭერი სისტემის გამოყენების შემთხვევაში ($\eta = 0$).

კოეფიციენტი K_6 -ის მნიშვნელობა განისაზღვრება ფორმულით:

$$K_6 = F_{მაქს} / F_{ჯვ}$$

სადაც $F_{მაქს}$ -საწყობის მაქსიმალურად შევსებისას დასაწყობებული მასალის ზედაპირის ფაქტიური ფართია საწყობის მაქსიმალური შევსებისას, მ²;

მტვრის ჯამური წლიური ემისიის ანგარიში ფხვიერი მასალის შენახვისას ხორციელდება ფორმულით:

$$G_{შვ} = 0.11 \cdot 8.64 \cdot 10^{-2} \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_6 \cdot K_7 \cdot q \cdot F_{ჯვ} \cdot (1-\eta) \cdot (T - T_{წ} - T_{თ}) \text{ ტ/წ};$$

მტვრის კუთრი ამტვერებს მაქსიმალური სიდიდე განისაზღვრება ფორმულით:

$$q = 10^3 \cdot a \cdot U^b, \text{ გ/(მ}^2\text{*წმ)}$$

სადაც a და b - ემპირიული კოეფიციენტებია, რომლებიც დამოკიდებულია გადასატვირთი მასალის ტიპზე;

U - ქარის სიჩქარე, მ/წმ.

T - მასალის შენახვის საერთო დრო განსახილველ პერიოდში (დღე);

$T_{წ}$ - წვიმიან დღეთა რიცხვი;

$T_{თ}$ - მდგრადი თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი.

საანგარიშო პარამეტრების და მათი მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 5.1.4.

ცხრილი 5.1.4 საანგარიშო პარამეტრები და მათი მნიშვნელობები

საანგარიშო პარამეტრები	მნიშვნელობები
გადასატვირთი მასალა: ბალასტი ემპირიული კოეფიციენტები, რომლებიც დამოკიდებულია გადასატვირთი მასალის ტიპზე	$a=0.0135$ $b = 2.987$
ადგილობრივი პირობები - საწყობი ღია ოთხივე მხრიდან	$K_4 = 1$
მასალის ტენიანობა 10%-მდე	$K_5 = 0.1$
დასაწყობებული მასალის ზედაპირის პროფილი	$K_6 = 750/500=1.5$
მასალის ზომები - 50-10 მმ	$K_7 = 0.5$
ქარის საანგარში სიჩქარეები, მ/წმ	$U^b = 7.3$
ქარის საშუალო წლიური სიჩქარე, მ/წმ	$U = 0.5$
გადატვირთვის სამუშაოების ზედაპირის მუშა ფართობი, მ ²	$F_{შვ} = 10$
ამტვერების ზედაპირის ფართი გეგმაზე, მ ²	$F_{ჯვ} = 500$
ამტვერების ზედაპირის ფაქტიური ფართი გეგმაზე, მ ²	$F_{მაქს} = 750$
მასალის შენახვის საერთო დრო განსახილველ პერიოდში, დღე.	$T = 366$
წვიმიან დღეთა რიცხვი	$T_{წ} = 97$
მდგრადი თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი	$T_{თ} = 41$

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

$$q_{2902}^{7.3 \text{ მ/წმ}} = 10^{-3} \times 0.0135 \times 7.3^{2.987} = 0.0051178 \text{ გ/(მ}^2\text{*წმ)}$$

$$M_{2902}^{7.298/წმ} = 1 \times 0.1 \times 1.5 \times 0.5 \times 0.001178 \times 10 + 1 \times 0.1 \times 1.5 \times 0.11 \times 0.0051178 \times (500-10) = 0.0245268 \text{ გ/წმ};$$

$$q_{2902} = 10^{-3} \times 0.0135 \times 0^{-3} \times 0.5^{2.987} = 0.0000017 \text{ გ/(მ}^2\cdot\text{წმ)};$$

$$G_{2902} = 0.11 \times 8.64 \times 10^{-2} \times 1 \times 0.1 \times 1.5 \times 0.5 \times 0.0000017 \times 500 (366-97-41) = 0.0001384 \text{ ტ/წელ.}$$

დაჯამებულია მტვრის გამოყოფა ბალასტის დაყრა-შენახვისას და ლიტერატურული წყარო [6]-ის დანართი 117-ის მიხედვით გამოყენებულია გაფრქვევების მნიშვნელობების შემასწორებელი მტვრის დალექვის მახასიათებელი კოეფიციენტი მყარი ნაწილაკებისათვის - 0.4.

№1 სამშენებლო ბანაკისთვის, ემისია ნედლეულის შენახვისას:

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2902	შეწონილი ნაწილაკები	0.0434444	0.80256
	Σ	0.0245268	0.0001384
	კოეფიციენტით	0.067971	0.802698
		0.0272	0.3211

5.2 ემისიის განაგარიშება ქვიშა ღორღის სამსხვრევი დანადგარიდან (გ-2)

ემისიის გაანგარშება ღორღის მიმღები ბუნკერიდან

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [6, 7, 8]

ფხვიერი მასალის გადმოტვირთვა ხორციელდება ჩამტვირთავი სახელოს გარეშე. ადგილობრივი პირობები-საწყობი ღია ოთხივე მხრიდან ($K_4=1$). მასალის გადმოყრის სიმაღლე - 0.5მ ($B=0.5$). ზალპური ჩამოცლა ავტოთვითმცლელელებიდან ხორციელდება 10 ტ. და ნაკლების ოდენობით ($K_9=0.2$). ქარის საანგარიშო სიჩქარეები მ/წმ: 7.3 ($K_3=1.7$). დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 5.2.1

ცხრილი 5.2.1 - დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2902	შეწონილი ნაწილაკები	0.387	0.826880

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 5.2.2

ცხრილი 5.2.2 გაანგარიშების საწყისი მონაცემები

მასალა	პარამეტრი
ღორღი	გადატვირთული მასალის რ-ბა: $G_{სთ}=256$ ტ/სთ; $G_{წლ}=358400$ ტ/წელ. მტვრის ფრაქციის მაქსიმალური მასური წილი მასალაში: $K_1=0.04$. მტვრის წილი, რომელიც გადადის აეროზოლში: $K_2=0.02$. ტენიანობა 10%-მდე ($K_5=0.1$). მასალის ზომები 50-10მმ ($K_7=0.5$)

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ:

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის ანგარიში ხორციელდება ფორმულით [8]

$$M_{დსფ} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot K_9 \cdot B \cdot G_{სთ} \cdot 10\%/3600, \text{ გ/წმ}$$

- სადაც K_1 - მტვრის ფრაქციის (0-200 მკმ) წონითი წილია მასალაში;
- K_2 - მტვრის წილია (მტვრის მთლიანი წონითი წილიდან), რომელიც გადადის აეროზოლში (0-10 მკმ);
- K_3 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს;
- K_4 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, კვანძის დაცულობის ხარისხს გარეშე ზემოქმედებისაგან, ამტვერების პირობებს;
- K_5 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;
- K_7 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ზომებს;
- K_8 - შემასწორებელი კოეფიციენტი სხვადასხვა მასალისათვის გრეიფერის ტიპის გათვალისწინებით, სხვა ტიპის გადამტვირთავი მოწყობილობების გამოყენებისას, $K_8=1$;
- K_9 - შემასწორებელი კოეფიციენტი ზალპური ჩამოვლისას ავტოთვითმცლელიდან;
- B - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გადმოყრის სიმაღლეს;
- $G_{სთ}$ - გადასატვრთი მასალის რაოდენობა, ტ/სთ.

მტვრის ჯამური წლიური ემისიის ანგარიში ხორციელდება ფორმულით:

$$G_{სწ} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot K_9 \cdot B \cdot G_{სთ}, \text{ ტ/წ}$$

სადაც $G_{სწ}$ - გადასატვრთი მასალის წლიური რაოდენობაა, ტ/წ.

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ:

$$M_{2902}^{7.3\text{მ/წმ}} = 0.04 \times 0.02 \times 1.7 \times 1 \times 0.1 \times 0.5 \times 1 \times 0.2 \times 0.4 \times 256 \times 10^6 / 3600 = 0.387 \text{ გ/წმ};$$

$$G_{2902} = 0.04 \times 0.02 \times 1 \times 1 \times 0.1 \times 0.5 \times 1 \times 0.2 \times 0.4 \times 258400 = 0.826880 \text{ ტ/წელ.}$$

ლიტერატურული წყარო [6]-ის დანართი 117-ის მიხედვით გამოყენებულია გაფრქვევების მნიშვნელობების შემასწორებელი მტვრის დალექვის მახასიათებელი კოეფიციენტი მყარი ნაწილაკებისათვის - 0.4.

№1 სამშენებლო ბანაკისთვის, ემისია სამსხვრევი დანადგარიდან:

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2902	შეწონილი ნაწილაკები	0.387	0.826880
	0.4 კოეფიციენტით	0.1548	0.330752

ემისიის გაანგარიშება ლენტური ტრანსპორტიორიდან

ქვიშა-ლორღის გადამამუშავებელი საწარმოს ლენტური ტრანსპორტიორების ჯამური სიგრძე შეადგენს 156 მეტრს, ხოლო საშუალო სიგანე 0.81 მ. ორივე სამსხვრევე მსხვრევა მიმდინარეობს სველი მეთოდით შესაბამისად ტენიანობა აღებულია 10-20%.

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [6, 7, 8].

ტრანსპორტირება ხორციელდება ღია კონვეიერული ლენტების საშუალებით, სიგანით - 0.81 მ. საერთო სიგრძე შეადგენს 156 მეტრს. ქარის საანგარიშო სიჩქარეების შეადგენს, მ/წმ: 7.3 ($K_3=1.7$). დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 5.2.3.

ცხრილი 5.2.3. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მეთოდის მიხედვით

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება	0.000675	0.02000
2902	შეწონილი ნაწილაკები		

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 5.2.4

ცხრილი 5.2.4.

მასალა	პარამეტრი
ლორღი	მუშაობის დროს - 1400 სთ/წელ; ტენიანობა 10-20%-მდე. ($K_5=0.01$). ნაწილაკების ზომები 5-3მმ ($K_7=0.7$)

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი ადასბუთება მოცემულია ქვემოთ.

შეწონილი ნაწილაკების ჯამური მასის ემისია, რომელიც წარმოიქმნება ფხვიერი მასალის ტრანსპორტირებისას ღია ლენტური კონვერიდან, განისაზღვრება ფორმულით [8]:

$$G_{\text{ლენტი}} = 3.6 \cdot K_3 \cdot K_5 \cdot W_3 \cdot L \cdot l \cdot Y \cdot T, \text{ ტ/წ};$$

მაქსიმალური ერთჯერადი ემისია რომელიც წარმოიქმნება მასალის ტრანსპორტირებისას ღია ლენტური კონვერიდან, განისაზღვრება ფორმულით:

$$M_{\text{ლენტი}} = K_3 \cdot K_5 \cdot W_3 \cdot L \cdot l \cdot Y \cdot 10^3, \text{ გ/წმ};$$

სადაც K_3 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს

K_5 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას

W_3 - ლენტური ტრანსპორტიორიდან კუთრი ამტვერება, კგ/მ³წმ;

L - ლენტური ტრანსპორტიორის სიგანე, მ

l - ლენტური ტრანსპორტიორის სიგრძე, მ

Y - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის წვრილმარცვლოვანებას

T - მუშაობის წლიური დრო, სთ/წ

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

$$M_{2902}^{7.298/წმ} = 1.7 \times 0.01 \times 0.0000045 \times 156 \times 0.81 \times 0.7 \times 10^3 = 0.000675 \text{ გ/წმ}$$

$$M_{2902}^{7.298/წმ} = 3.6 \times 1 \times 0.01 \times 0.0000045 \times 156 \times 0.81 \times 0.7 \times 1400 = 0.02000 \text{ ტ/წელ}$$

ემისიის გაანგარიშება 2 სამსხვრევიდან და 2 საცერიდან

კომპლექსში შედის ორის სამსხვრევი (ყბებიანი და როტორული სამსხვრევებზე მსხვრევა მიმდინარეობს სველი მეთოდით) და ორი საცერი.

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეტოდური მითითებების თანახმად [10].

დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 5.2.5.

ცხრილი 5.2.5. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2902	შეწონილი ნაწილაკები	160	1216.512

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 5.2.5

ცხრილი 5.2.5. გაანგარიშების საწყისი მონაცემები

ტექნოლოგიური დანადგარის ტიპი	სთ/წელ
ყბებიანი სამსხვრევი ნარევის მოცულობითი სიჩქარე V=1400	1400
როტორული სამსხვრევი - აირჰაეროვანი ნარევის მოცულობითი სიჩქარე V=1800	1400
საცერი - აირჰაეროვანი ნარევის მოცულობითი სიჩქარე V=3500 მ ³ /სთ; მტვრის კონცენტრაცია - C=10 გ/მ ³	1400
საცერი - აირჰაეროვანი ნარევის მოცულობითი სიჩქარე V=3500 მ ³ /სთ; მტვრის კონცენტრაცია - C=10 გ/მ ³	1400

მტვრის ჯამური გამოყოფა ტექნოლოგიური დანადგარიდან გაიანგარიშება ფორმლით:

$$M_G = 3600 \cdot 10^{-6} \cdot t \cdot V \cdot C \text{ ტ/წელ;}$$

სადაც t - ტექნოლოგიური დანადგარის მუშაობის დრო წელიწადში, სთ. V - აირჰაეროვანი ნაკადის მოცულობა მ³/წმ;

C - მტვრის კონცენტრაცია შესასვლელზე, გ/მ³

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი გამოყოფა გაიანგარიშება ფორმულით:

$$G = V \cdot C \text{ გ/წმ;}$$

დამაბინძურებელ ნივთიერებათა (გამოყოფის) ემისიის მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ:

ყბებიანისამსხვრევი

$$V = 14000/3600 = 3.88889 \text{ მ}^3/\text{წმ;}$$

$$M_{2908} = 3600 \cdot 10^{-6} \cdot 1400 \cdot 3.88889 \cdot 13 = 254.8 \text{ ტ/წელ.}$$

$$G_{2908} = 3.88889 \cdot 13 = 50.555556 \text{ გ/წმ}$$

როტორული სამსხვრევი

$$V = 18000/36000 = 5 \text{ მ}^3/\text{წმ;}$$

